საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 280 „29" ივლისი 2014 წ.

შ.პ.ს. „ელიტ-დენტი გ ენდ ტ"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „უფლებამოსილების მინიჭებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 24 ივნისის №99 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის (სამსახურის) მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის ზია სიჭინავას მოხსენებითი ბარათის და შ.პ.ს. „ელიტ-დენტი გ ენდ ტ"-ს დირექტორის განცხადების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს. „ელიტ-დენტი გ ენდ ტ"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია შემდეგ სახეობაზე: მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენება, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს. „ელიტ-დენტი გ ენდ ტ"-ს.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

მარიამ ბანძიშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENERGY AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
საგანსაკუთრებო საქმეთა სამმართველო